წელიწადი პირველი — № 4. ნომერი 3 კაპეიკი კვირა, 14 მაისი 1906 წ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

# ზ მ ა

ყოველდღიური გაზეთი

გაზეთი ღირს: 1 წლით . . 5 მ. — კ.
„ „ 6 თვით . . 2 მ. 50 კ.
„ „ 3 „ . . 1 მ. 50 კ.
„ „ 1 თვით . . — 50 კ.
ცალკე № „ . . . . — 3 კ.
წლის დამლევამდის . . . 3 მ. — კ.

კ. მარ ! ს ! ს. საქ. სსრ სახ ... სპუბლიკ. ბი ლიოთეკა

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

1) ვინ არის ჩვენი მტერი? 2) ფელეტონი: 1. ანარხია; 2. ინტერნაციონალის წინამორბედნი. 3) რუსეთი. 4) პრესსა. 5) ახალი ამბები. 6) თეატრი და მუზიკა 7) უკრაინის პოლიტიკური პარტია. 8) 2 წერილი რედაქციის მიმართ. 9) დეპეშები. 10) ჩვენი ბიბლიოთეკა.

## ვინ არის ჩვენი მტერი?

ჩვენი მტერია, ისინი, ვინც სხედან პარლამენტის დამნაშავეთა სკამზე ისინი ვინც ბევრს და ლამაზად ლაპარაკობენ ხალხის გაჭირვებაზე, მაგრამ უშნოთ და არაფერს მეცადინეობენ ხალხის განთავისუფლებაზე.

ისინი, ვინც არჩევის დრომდე ფიქრობენ და ლაპარაკობენ ხალხისთვის—არჩევის შემდეგ თავის თავისთვის, თავის პატივმოყვარეობისთვის.

ისინი, ვინც ხალხს სთვლის უვიცად მოქმედებისათვის და ამიტომ ართმევს თავოსნობას საზოგადოებრივი მოქმედებისას; ისინი, ვინც თუ რამე განსახორციელებელი გახდა, ისევ ხალხს მიმართავენ და მოქმედებას მოსთხოვენ, ისევ ხალხის ძალას მოსთხოვენ მათზე მინდობილ ხალხის უფლებების დაცვის დაცვას; ისინი, ვინც შემდეგ ამისა ხალხს ურცხვად ეუბნებიან, რომ რაც სიკეთე მოგივიდა, მე მოგანიჭეო და რაც უფლებები მოიპოვე მე მოგიპოვეო, თითქოს უფლების ზომა ძალა არ იყოს—სწორედ ის ძალა, რომელიც პარლამენტის ვაჭართ არ აქვთ.

ვინ არიან ჩვენი მტრებიო!?

ვინ და ისინი, ვინც ლაზღანდარობაში, თავიანთ პატივ-მოყვარეობაში და კარიერის შექმნაში გართულნი არიან, აბობოქრებენ პარლამენტალურ უაზრო, გაბერილ სიტყვების და ცარიელ აზრების ზღვას...

ვინ და ის ბატონები, რომლებიც იმოდენ იმედებს აძლევენ ხალხს, რომ ხალხი უნებლიეთ ეძლევა ტკბილ ოცნებებს, იძინებს ვარდის ფერ იმედების მოლოდინში იმიტომ, რომ გამოიღვიძოს საშინელ სინამდვილეში, საზოგადოებრივ ტკივილებში და იმ ჯაჭვებში, რომელიც მისი ძილის წინ მას გაუკეთეს პარლამენტის მეარლნეებმა და რომელიც საშინლად გაზრდილი ეჩვენება გაღვიძების დროს.

აი! ვინ არიან ჩვენი მტრები!

ჩვენი მტრები არიან, ის პარლამენტის სიტყვის გმირები და აკტიორები, რომლებსაც უნდათ მსოფლიო სცენა პარლამენტის სცენაში დაატიონ, სოციალური დრამა პარლამენტის თეატრალურ პიესაში მოამწყვდიონ, მსოფლიო ისტორია პარლამენტალურ ჯამბაზების გოგრაში გადაიტანონ და სოციალური ბრძოლა მინდვრიდგან, ტყიდგან, სოფლიდგან, ქალაქიდგან და ქუჩიდგან პარლამენტის ჯამბაზების სკამებზედ.

ვინ არიან ჩვენი მტრები?

ისინი, ვინც ისეთი მრევლის წევრებია, რომელსაც თავისთვის პარლამენტი, თავისუფლების ტაძრად გაუხდია ხალხის თვალში და თავის თავისთვინ—კი პოლიტიკურ ბაზრად, სავაჭროდ—სიტყვის საროსკიპოთ.

რა არის ჩვენი მტერი?

ის დაწესებულება, სადაც საქმე ხმის უმრავლესობით სწყდება; სადაც იჩაგრება უმცირესობა და ხშირად პროგრესიული უმცირესობა; სადაც სიმართლის სასწორი სიმრუდის საწონია, სადაც უმრავლესობა ჭეშმარიტების ქუდით ჩამქოლელია; სადაც ჯოგური უმრავლესობა, შეურაცჰყოფს და ჰქელავს სამარლიან უმცირესობას, სთხზავს სიცრუეს და სილას არტყმევს ჭეშმარიტების და თავისუფლების მშვენიერ სახეს.

აი რა არის ჩვენი მტერი?

ის დაწესებულება, რომელიც მით უფრო გამძლე და გამრყვნელი გამხდარა, რამოდენადაც გარეგნობით შემსუბუქებული სოციალურრ ბუნაგი პოლიტიკო-ეკონომიური მცარცველებისა და რომელიც წარმოადგენს ვარიაციას სოციალური ღვთის განგებისას, ვინაიდგან წარმომადგენელი და გამგებელია ხალხის სვებედისა.

ვინ არიან ჩვენი მტრები?

ისინი ვინც თავის თავს სოციალურ ბრძოლის გოლიათად აღიარებენ ხალხს კი ნაცარ-ქექიად, მაგრამ დადგება თუ არა ხანა განხორციელებისა მიმართავენ ხალხის ინჩინ ნაცარქექიის და ეხლა გოლიათურ მკლავს.

ისინი, ვინც ხალხმა თავის მფარველად ამოირჩია, მაგრამ ხალხის მუდმივ დახმარებას და მფარველობას საჭიროებს.

ისინი, ვინც ხალხში ქადაგობენ შეურიგებელ ბრძოლას მტარვალების წინააღმდეგ, მაგრამ პარლამენტის ბირჟაზე პოლიტიკურ ვაჭრობას და კანონების მრეწველობას ეწევიან კაპიტალის მაგნატებთან და პოლიტიკურ აფერისტებთან...

— აკეთებენ რგოლებს იმ ჯაჭვისას, რომლითაც უნდათ შეჰბოჭონ გმირი...

— ხალხი, რომელსაც სამსონივით ჩაძინებია, მაგრამ, მოვა დრო...

ხალხის შეგნება გაიზრდება სამსონის თმასავით. სვეტები, რომელზედაც ის მიბმულია დაიწყებენ რყევას ₾ შენობა, რომელიც მაზე დაშენებულია დაინგრევა საშინელი ხმაურობით, რომელიც მით უფრო

# ფელეტონი

—

**ა ნ ა რ ხ ი ა** *).

ანარხია არ არის ახალი თეორია. თვით სიტყვა „მთავრობის უარყოფი„, „უუფროსოდ დაარსებული საზოგადოების“ აზრით ძველია და პრუდონზე ადრე იყო ხმარებაში.

სიტყვის მომდინარეობის კითხვა არც ისე საყურადღებოა. არსებობდა „აკრატები“ (მმართველობის უარის მყოფელნი) ანარქისტებამდიც, და თვით აკრატებმა თავიანთი მეცნიერული სახელი გამოიგონეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მრავალი მათი მოდგმა ერთი მეორეს მოჰვნენ. ყოველთვის იყვნენ ისეთი კაცები რომელთაც კანონები ეზიზღებოდათ, რომელთაც არავითარი მპყრობელობა არ სწამდათ და რომლებიც სცხოვრობენ მხოლოდ თავისი არსებობის უფლებით, თავის გონების ბრძანებით. ის კი არა პირველ-ყოფილ ხანებშიც კი ყოველგან ვხედავთ გვარებს, რომლებიც შესდგებიან თვითმართველ კაცებისაგან, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი დაძალებული კანონები, არავითარი სამართი ყოფაქცევისა, გარდა „თავისი სურვილისა და კეთილი ნებისა“, რაბლესი არ იყოს.

მაგრამ თუმცაღა ანარხია ისეთი ძველია, როგორც თვით კაცობრიობა, მიუხედავად ამისა მის თანამედროვე წარმომადგენლებს შემოაქვთ სამყაროში რაღაც ახალი. ამათ კარგათ აქვთ შეგნებული მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიონ, და სადაცკი არიან, ისინი ყველა ერთსულოვნად მიისწრაფვიან თავის იდეალისაკენ, რომელიც შესდგება მთავრობის უარის ყოფაში, რაგვარი ფორმისაც უნდა იყოს ის. ოცნება მსოფლიო თავისუფლებაზე აღარ არის უკვე წმინდად ფილოსოფიური და ლიტერატურული უტოპია, როგორიც ის იყო მზის ქალაქის ₾ ახალი იერუსალიმის ძველი დამაარსებლებისათვის; ის გახდა მომქმედი ძიება ცოცხალი სინამდვილისა მრავალ კაცებისათვის, რომლებიც ერთგულად, მწყობრად და მედგ რად მუშაობენ ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წარმოსაშობათ, რომელშიაც აღარ იქმნება მეტი არავითარი უფროსები, არ იქნება ოფიციალური დამცველები ზნეობისა, არ იქმნება საპყრობილეების ზედამხედველები, არც პალაჩები, არც მდიდრები, არც ღარიბები, არამედ მხოლოდ კაცები, სწორი თავიანთი უფლებებით, ძმები, რომლებსაც თვითველად ექმნება თავისი ყოველდღიური წილი საარსებო პურისა და რომლებიც იცხოვრებენ მშვიდობაში და თანხმობაში არა კანონების ეგრედ წოდებულ მორჩილებაში, რომელსაც საშინელი სასჯელი მოჰყვება ურჩთათვის, არამედ საყოველთაო პატივისცემის სხვისი ინტერესებისადმი, მეცნიერული მიყოლით ბუნების კანონებისადმი.

ბევრ თქვენგანს ეს იდეალი უეჭველად ეჩვენება მიუხწეველად, მაგრამ ეჭვი არა მაქვს იმაში, რომ ბევრს თქვენგანს ის სასურველად მიაჩნია და რომ თქვენ გათვალისწინებული გაქვთ მომავალში მშვიდობიანი საზოგადოება, რომელშიდაც შერიგებული კაცები დაუტევებენ ჟანგის წილად თავიანთ ხმლებს, გადაადუღებენ თავიანთ ზარბაზნებს და იარაღს აღყრიან თავიანთ კრეისერებს.

ნუ თუ თქვენ არა ხართ იმათთაგანი, რომლებიც უკვე კარგა ხანია, რამოდენიმე ათასი წლების განმავლობაში, თქვენი სიტყვით, მუშაობენ თანასწორობის ტაძრის ასაგებად? თქვენ ხომ კალატოზები (მასონები), ხართ, ე. ი. ისწრაფვით „აგოთსრული შენობა, სადაც შედიან მხოლოდ თავისუფალნი და თანასწორი ადამიანები, ძმები, დაუღალავად მეცადინენი თავის თავის გაუმჯობესებასათვის და აღორძინებულნი, თქვენი სიყვარულის ძალით ახალი

*) ეს ბროშიურა წარმოადგენს შინაარსს იმ მოხსენებისას, რომელიც უნდა წაკითხულიყო ერთ მასონურ ლოჟაში 1894 წ.

მძლავრი და ქარიშხლოვანი იქმნება, რამოდენათაც ხანგრძლივი მეუფება პარლამენტარულ არენებისა.

ვინ არიან ჩვენი მტრები?

ვინ და

პარლამენტის ბატონები.

ალი.

## რუსეთი.

ბუნდის მე-VII კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც პროფესიონალური ორგანიზაციები უნდა მოეწყვნენ სოც.-დემოკრატების დროშის ქვეშ. ამ გვარ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ, ვითომ როდესაც პროფესიონალური ორგანიზაციები არ ეწყობიან სოციალ-დემოკრატიის ფრთის ქვეშ, მაშინ ისინი უბრალო პროფესიონალიზმის ვიწრო ფარგლებში ეშმყვდევიან ან რევოლიუციონურ სინდიკალიზმის (ესე იგი ანარქისტულ სინდიკატებად) გზას ადგებიან. კონფერენციას დაუნახავს მნიშვნელოვანად ნაციონალური განსხვავება თვით მუშებში. ამიტომ ურჩევს ამ მიზნისთვის დაარსებას თვითეულ კავშირის გულში ნაციონალურ სექციებისას.

## პრესსა

გაზეთი „რეჩის“ სიტყვით დადის ხმები საბჭოს „გაფანტვის“ შესახებ; დადის აგრეთვე ხმები რომ კომპრომისებზე წავლენო; ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთობაში კანტი-კუნტად ამბობენ, რომ ვითომ საბჭო ცდილობს გააგრძელოს თავისი ბაასი და ამ დროს განმავლობაში დრო მისცეს ხალხს მოემზადოს პირდაპირი მოქმედებისათვის, რაც შეუძლებელია ჩვენი აზრით, რადგან პარლამენტის მომხრეები თავის დღეში ხალხს ი... ოსნობას არ დაუთმობენ თუ არა ძალად.

## ახალი ამბები

—

ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე ბ. მანდიკინი ინიშნება წევრათ საგლეხო საკრებულოში; მანდიკინის ადგილზე კი იხიშნება პოლიცმეისტერის კანცელარიის მმართველი ბ. კურისი; უკანასკნელის ადგილზე კი ინიშნება იმავე კანცელარიის საქმის წარმოებელი ბ. ჩეპრანოვი.

— როგორც გადმოგვცეს სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსს დაუმტკიცებია საეკლესიო კონსტიტუცია.

— 11 მაისს საღამოს 6 საათზე თუმანოვის ქუჩაზე გაუჩხრეკიათ მოსე ჯანაშვილი, მაგრამ ვერაფერი ვერ უპოვნიათ.

— სახელოსნო სასწავლებლის ბუხგალტრის ადგილზე ამას წინათ მოკლულის კატინიანცის ნაცვლათ დაინიშნა ქრ. არ. თუმანოვი.

— 10 მაისს საღამოს 7 საათზე ერევნის მოედანზე კონკაში მჯდომს ქალს დარ. სერ. ბოიახჩევისას ვიღაც უცნობმა ყმაწვილმა კაცმა ხელიდან წაჰგლიჯა „რეიდიკიული“ და გაიტაცა. ქალის მოწოდებაზე პოლიციელებმა შეიპყრეს ყმაწვილი კაცი, რომელსაც განაძარცვი აღმოაჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

— 12 მაისს ღამის $11^1/_2$ საათზე გოლოვინის პროსპექტზედ ეტლით მიმავალს კბილის ექიმს ივ. ლაზ. არონშტანს ეტლითვე წამოეწია ვიღაც ვენგერი და დანა უნდა დაეკრა. არონშტანმა უცბათ გვერდზედ გადაწევით თავი დააღწია განსაცდელს, ვენგერი კი პოლიციამ შეიპყრო და სასამართლოს გადასცა.

— გუშინ ყაზბეგის ქუჩაზე მე-3 გიმნაზიის მოსწავლე თუხარელმა ორ ალაგას დანით დასჭრა წყლის მზიდველი, რის გამოც უკანასკნელი გარდაიცვალა. მიზეზი ალაპარაკებისა დ უბედურებისა წყლის მოუტანლობა ყოფილა.

— უ. ჯორჯაძე ადგენს პროექტს შეუერთოს დვორცოვის ქუჩა ფრეილინისას და გაიყვანოს ბანკის სახლის ორივე მხრით ქუჩები. ამნაირათ პატარა ქოხები და ოთახები ბნელ კორრიდორებში იქნებიან დამგრეულნი, შენობის უკანა ნაწილი მიიღებს მეტ სინათლეს, რის გამო შესაძლებელი იქნება გაკეთდეს ძრიელ კარგი სინათლიანი პასსაჟი. მისასვლელი დვორცოვის ქუჩის მხრით პროექტით გაცილებით ფართოვდება, ფასადის მხრით კი უნდა იქმნას დადგმული მესამე სართული. ამას გარდა ბაღის გადაჭრის ქუჩა, რომელზედაც განზრახულია რამოდენიმე სახლის აშენება. საზამთრო და საზაფხულო თეატრები უნდა იქნენ გაკეთებული ტეხნიკის მოთხოვნილების თანახმათ, რისთვის ჯორჯაძე ითხოვს გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო პროექტებზე. ჯორჯაძის პროექტით ამისათვის საჭიროა ერთ დროულათ 170 ათასი მანეთი, მხოლოდ წლიურმა შემოსავალმა უნდა მოიმატოს 25—35 მანათი.

— როგორც შევიტყეთ ბათომში ამერიკელ კონსულის სტიუარტის სიკვდილი ასე მომხდარა: ვილიამ სტიუარტი, როცა $10^1/_2$ საათზე საღამოს 7 მაისს გამოვიდა ქალბატონ სერგეევის აგარაკიდან, სადაც ის იყო სტუმრათ, წავიდა ფეხით თავის საკუთარ აგარაკში უმხლებლათ და უიარაღოთ. ორივე აგარაკი მდებარეობენ ცხრა ვერსის მანძილზე ბათომიდან ადგილ მახინჯაურში. თავის აგარაკისზე ოთხი ვერსის მანძილზეიმ ადგილზე, საცა გზა გადის ხეობაში, დასჭრეს ის ხევში; ნასროლი იყო ჩირგვებიდან, საიდანაც შემდეგ გამოვიდა ორი უცნობი პირი, რომლებმაც ესროლეს ორჯერ კიდევ სტიუარტს და შემდეგ მიიმალენ. სტიუარტი წაიქცა, გულში სასიკვდილოთ დაჭრილი. თოფის ხმაზე მოირბინა სტუარტის აგარაკის მებაღემ—არსენა ცომაიამ, რომელმაც ნახა კონსული ჯერ კიდევ ცოცხალი. ცომაიას შემდეგ მოირბინეს მცველებმა და მცხოვრებმა, სტიუარტი გადაიტანეს პოლიციის მცველის პოსტზე, სადაც კონსული ორ საათს შემდეგ გარდაიცვალა. ცომაიამ აჩვენა, რომ სტიუარტმა სიკვდილის წინ სთქვა, რომ მას პირადი მტერები არ ჰყავდა და თავდაცემის მიზეზის ახსნა მას არ შეუძლიან. ჯერ დაჭერილია ქალბატონ სერგეევის აგარაკის დარაჯი ქობულეთელი კასუმი. ნამდვილი მოტივი კონსულის დაჭრისა და მოკვლისა ჯერ გამოურკვეველია.

— პოლიტეხნიკუმის შესახებ. ნამესტნიკის თანაშემწის ი. ვ. მიცკევიჩის თავმჯდომარეობით 10 აპრილს მოხდა კრება პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. კრებამ დაადგინა: 1) სასურველია პოლიტეხნიკუმის დაარსება ჯერ-ჯერობით ორის განყოფილებით— სასოფლო-სამეურნეო და სამთოთი, ხოლო თუ სახსარი აღმოჩნდა, დაარსდეს მესამე განყოფილებაც—მექანიკური; 2) ყველა გუბერნატორებთან დაარსდეს განსაკუთრებული კომისიები, რომელნიც უნდა შესდგნენ ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან.

— მემამულე და ღარიბი ხალხი. წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაო გვერდით კარგა მოზრდი-

---

ცხოვრებისათვის, რომელიც სავსე იქმნება სამართლიანობით და სიყვარულით. ეს ხომ ასეა, ხომ მართალია? და თქვენ მარტონი არა ხართ? თქვენ არა გაქვთ პრეტენზია, რომ ხართ ერთად ერთი დამტარებელი პროგრესიული სულისა და განახლებისა. თქვენ უსამართლობასაც-კი არ სჩადიხართ—დავიწყება თავისი სპეციალური მტრების, მათი, ვინც გწყევლით თქვენ, ვისგანაცა ანათემას ეძლევით—ცხარე კათოლიკების, რომლებიც იწვევენ ჯოჯოხეთის ყველა სასჯელს წმიდა ეკლესიის მტრებისთვის, მაგრამ რომლებიც აგრეთვე მიუხედავად ამისა წინასწარმეტყველებენ მომავალი მუდმივი მშვიდობის დროების მოსვლას. ფრანცისა ასსიზელს, ეკატერინე იენი-ს სას, ტერეზა ავილიელს და ბევრ სხვებს ჩვენთვის უცხო სარწმუნოების მომხრეებთა შორის, უექველად უყვარდათ კაცობრიობა ნამდვილი გულწრფელი სიყვარულით, და ჩვენ უნდა ჩავრიცხოთ ისინი იმათ რიცხვში, ვინც თავისი სიცოცხლე, შესწირა საყოველთაო ბედნიერების იდეალის სამსახურს. ეხლანდელ დროში კი მილლიონისგან მილლიონი სოციალისტებისა, რომელი სკოლისაც უნდა იყვნენ, აგრეთვე იბრძვიან მომავალი წყობილების მოსვლისათვის, იმ წყობილების, რომელშიდაც უნდა გატყდეს კაპიტალის ძალა, რომელშიდაც ადამიანებს ბოლოს შეეძლებათ უირონიოდ დაუძახონ თავიანთ თავს „თანასწორნი!“

ამ ნაირად ანარქისტებს მიზანი საერთო აქვთ ბევრ კეთილ-შობილ კაცებთან, რომლებიც ეკუთვნიან ძლიერ სხვა და სხვა სარწმუნოებებს, სექტებს და პარტიებს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ყველსსგან საშვალებით, რასაც თვით მათი სახელ-წოდება ცხაფიოთ გვიჩვენებს.

დაპყრობა სამმართველო ძალის ყოველთვის უმთავრესი ზრუნვა იყო რევოლიუციონერებისა, იმათიც კი, რომლებიც საუკეთესო განზრახულებებით ხელმძღვანელობდნენ.

ე. რეკლიუ.

### ინტერნაციონალის წინამორბედნი.

მართლა სასიამოვნოა, როდესაც ჰკითხულობ ამ მშვენიერ დეკლარაციას, რომელიც სავსეა კეთილშობილი გრძნობებით, ღრმა აზრებით... და ამის შემდეგ ჩვენი დროის საფრანგეთში გვემილნი ყაზარმისა, პოლიციისა, ეკლესიის სალაროისა, საროსკიპოსა და მოსყიდულ პრესისა, ზედავენ აღძრან სიძულვილი წინააღმდეგ უცხოელებისა, ინტერნაციონალისა, საყოველთაო სოლიდარობისა! ცოტა ახსოვს ისტორიას ისეთი სიზიზღარი დანაშაულობა რწმენათა მახინჯური გარეგანობისა იმ მწერილების, რომლებიც ფრანგებათ თვლიან თავის თავს.

რადგან ფრანგნი მუშები, და ამასთანავე ზომიერნი, როგორც ფრიბურგი, ტოლენი და სხვები იყვნენ სწორედ ისინი, ვინც დარწმუნებით მოითხოვა დეკლარაციაში შეტანა კაცობრიობის იდეიებისა.

იმ დეკლარაციებმა, რომელიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ, დიდი ხმაურობა ასტეხეს; ყოველგან მუშებმა და განათლებულმა კაცებმა, სხვა და სხვა შკოლის სოციალისტებმა სიამოვნებით მიეგებნენ, ჟენევის კონგრესს, სიხარულით შესძახეს ასეთ ღრმად კაცობრიულ და ჭეშმარიტად სოციალისტურ პრინციპებს. რამოდენიმე კვირის განმავლობაში ინტერნაციონალის სტატუტები შეიქმნენ ცნობილნი ყველა ქვეყნებში. ყველა მიხვდა, რომ რაღაცა დიდი საქმე მზადდებოდა, საქმე, რომელსაც უნდა აღენიშნა მსოფლიო ისტორიაში ახალი სათაური. ერთი წლით ადრე, 1865 წლის კონფერენციის დროს, განხილვათა და სტატუტების პროექტების წაკითხვის შემდეგ, გამჭრიახე კაცებმა მიხვდნენ სრული მნიშვნელობა იმის რაც მზადდებოდა. სხვათა შორის ისტორიკოსი ანრი მარტენი 1865 წ. 14 ოქტომბ. სწერდა „სულის ღრმა მოძრაობით წავიკითხეთ მოთხრობა იმის, რაც ლონდონში მოხდა.

„ჩვენ წინად გრძნობა გვაქვს, რომ

ლი ადგილი აქვს გენერალ დოლუხანოვს. პატრონმა ხელ-მოკლე მცხოვრებთ ნება მისცა სახლები აეგოთ და ფული, საჟენში 5 მანეთი, ნაწილ-ნაწილ გადაეხადნათ. მსურველნი მართლაც ბევრი აღმოჩნდნენ და მრავალთ კიდეც აიშენეს სახლები, ზოგიც ეხლა აშენებს. როგორც ეხლა გავიგეთ, მამულის პატრონს ფასი აუწევია და ხუთ მანეთისთვის ერთიც წაუმატებია. ამასთან დოლუხანოვს შეიარაღებული ყარაულები დაუყენებია. გუშინწინ ასეთი ამბავი მოხდა: თავის ადგილში ასული უკვე აგებულ სახლის პატრონნი. დარაჯს დაუფრენია და თოფიც მიუყოლებია. ეს გაუგიათ პატრულებს, აცვივნულან და ის იყო უნდა უდანაშაულო ხალხს დარეოდნენ, რომ ერთმა დამსწრემ გააგებინა, რაში იყო საქმე. პატრულებმა დოლუხანოვის სამი დარაჯი დააპატიმრეს.

— დაპატიმრება. გუშინ, 12 აპრილს, დააპატიმრეს კავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტის ოთხი მოწაფე, რომელდაც აბრალებენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმას მუშტაიდის ბაღში, ოთხშაბათს, 10 აპრილს.

— გუშინ, 12 მაისს, დილის 11 საათზე „ლამპარი“-ს რედაქციას (ნიკოლოზის ქ., №39) თავს დაესხა მე-9 უბნის ბოქაული, მისი თანაშეშწე და გოროდოვოი. მოითხოვეს გაზეთის გამოცემის ნებართვა. რედაქცია გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს; თანამშრომლები და შემთხვევით იქ მყოფი პირები გადაწერეს და წავიდენ.

## თეატრი და მუსიკა.

ამხანაგობა „ახალი დრამა“. როგორც ვიცით ახლად შემდგარი მსახიობთა ამხანაგობა „ახალი დრამა“ უკვე შეუდგა მოღვაწეობას [illegible] პროვინციებში. პირველი წარმოდგენა გამართეს გორში. წარმოადგინეს კარეევის პიესა „ცხოვრების გმირი“ და გუნიას ვოდევილი „არივდარია“!..

საზოგადოთ, უნდა ვსთქვათ, რომ მსახიობნი მეტათ პატიოსნათ, მეტათ სვინდისიერად შესდგომიან ამ ახალს ყოვლად საჭირო მასთანვე არა ადვილს საქმეს. როლების კარგად ცოდნის, ყოველ-მხრივი ცდის და შრომის დაღი აჩნდა პიესის თამაშს. ეს იყო მიზეზი, რომ ისე ცოცხლად, ისე ნამდვილის სურათით დაუხატეს დამსწრეთ პიესის შინაარსი.

საზოგადოებით დარბაზი გაჭედილი იყო. ის დიდის აღტაცებით ეგებებოდა მსახიობთ, ხან-გრძლივის ტაშის-ცემით აჯილდოვებდა მათ.

მართლაც ისე დაიპყრო ნიჭიერმა თამაშმა მხედველთ ყურადღება, რომ გათავების შემდეგ დიდხანს არ იშლებოდა და რაღაცა მოლოდინის თვალით შესცქეროდა სცენას.

ჩვენ ჩვენის მხრივ ვუსურვებთ გამარჯვებას და აყვავებას ახალს ამხანაგობას, ვუსურვებთ, რომ იგი ნამდვილის მშობლიური ძუძუთი ჰკვებავდეს თავის პირმშო შვილს. იცოდეთ, რომ არც ისე დიდი, ალაგი უჭირავს ტალანტს, როგორც შეჰყურებს მას ჩვენი საზოგადოება.

რწმენა თქენდამი ამოღებულ მიზნისა და ენერგია მოიტანენ დიდს ნაყოფს. ეცადეთ დაგვანახოთ, რომ დღემდის „მაშუქებელი სხივის“ ჩაქრობით, დაბნელებით არ დაუბნელდება ბრწყინვალე მზე ქართულს სცენას.

მაშ ენერგია და ცდა ყოველ მხრივ!

გამარჯვება თქვენი იქნება!

ვნახოთ ჩვენი საზოგადოება, როგორ მოეპყრობა ამ დიდიხნის საჭირო საქმეს; გამოიჩენს თავის ჩვეულებრივ გულ-ცივობას თუ „ახალი“ მასზედ იმოქმედებს.

მ. ქ.

## უკრაინის პოლიტიკური პარტია.

საზოგადო რუსულ პოლიტიკურ პარტიათა გარეშე, უკრაინაში არსებობენ, და მკვიდრი ნიადაგიც აქვთ მოპოებული ადგილობრივ ნაციონალურ პარტიასაც. უკრაინის ავტონომია, დამფუძნებელი კრებები მთელ რუსეთისა და მასთან ერთად, თანასწორ უფლებით მოსილი უკრაინი დამფუძნებელი კრება—აი ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი ამ პარტიათა. ასეთია სამი პარტია. უძლიერესი მათგანი არის „უკრაინის სარევოლიუციო პარტია“ ანუ „უკრაინის სოც. დემოკ. მუშათა პარტია“ რომელ სახელითაც მოინათლა პარტიის უკანასკნელ კონგრესზედ. პარტია უკვე ხუთი წლის არსებობის შემდეგ სავსებით გამოაშკარავა თავის ფიზიონომია, აიხადა პირ-ბადე და გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე, როგორც პარტია სოც.-დემოკ. დაერთვნილი. ამ ხუთი წლის არსებობის დროში პარტიამ უკვე საკმაოთ გაიდგა ფესვები დაარსა ორგანიზაციები უკრაინელ გლეხთ შორის ისე დაბა-ქალაქებშიაც.

მაგრამ უკრაინ. სოც. დემ. პარტიის გარეშე მოქმედებენ კიდევ „დემოკრატ. რადიკალური“ და „ხალხური“. პირველი მათგანი ნაყოფია ორის „დემოკრატიულ და რადიკალურ“ პარტიათა შეერთებისა. შემაერთებელ დამახასიათებელ მხარედ ამ ყველა მოქმედ უკრაინაში პარტიათა გამოდის ის, რომ ყველა მათგანი გამოდიან სოციალისტურ პარტიებათ. მაგრამ მათი სოციალიზმი ძალიან განსხვავდება სოც. დემ. სოციალიზმისაგან. ასე, უკრაინის დემოკრატაული პარტია მოითხოვს გამოსყიდვას არა მარტო მიწისას, არამედ ქარხნების და ზავოდებისასაც და სხვა. კაპიტალისტურ წარმოებისას, მაშვრალთა მდგომარეობის გასაუმჯობისათვის. ხალხურ პარტიის „სოციალიზმი“ უფრო თავისებურია, უფრო უტოპისტური. პარტიის უახლოესი მიზანი... „თავისუფალი, უკრაინა დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფო, მასთანვე არა კლასიური, არამედ წმიდა სოციალისტური. როგორც მაგალითს შოვინისტურ მისწრაფებისა, მოგიყვანთ ნაწყვეტებს, საზღვარ გარეთ ხალხურ პარტიის მიერ გამოცემულ ბროშურიდამ „Справка українской интиллигенцїй.“ „ყველა ადამიანი—ჩვენი ძმანი არიან, მაგრამ კაცაპიებში, ურიეები, პოლონელები, რუმინელები, გერმანელები, სანამ ისინი სუთნქავენ ჩვენის ტერიტორიის ჰაერით, არიან და იქნებიან ჩვენი მოსისხლე მტრები და ჩვენ ვალდებული ვართ ვებრძოლოთ, აუტეხოთ სამკვდრო სასიცოცხლო ომი. ქვეყნის და ხალხის ჰრილობებს საღრჩოაელათი არჩენენ, და გებონებათარ უნდათ მიხვდენ, რომ იქ სადაც არსებულლვა პირობებმა მოქალაქეების ცხოვრება გადააქციეს ერთთავად ტანჯვად ხალხის ბედნიერებისათვის გადაიქცემა სიტკბოებად. მთავრობას შეუძლია წაგვართვას ჩვენ საშვალება პატიოსანი ცხოვრებისა, მაგრამ მის ძალაში არ შედის, რომ ხელი შეგვიშალოს პატიოსნად მოვკვდეთ. ჩვენ სოციალისტ-რევოლიუციონერები ვისახავთ ამოცანათ

---

რაღაც დიდი რამე იწყება ქვეყანაში... გრძნობათა ამაღლება... შეხედულებათა სისრულე, და მაღალი აზრი, რომელიც ერთი და იმავე დროს ზნეობრივი, ეკონომიური და პოლიტიკურიც არის და რომელიც თავმჯდომარეობდა არჩევანს პროგრამმის შემადგენელ კითხვებისას, შეიპყრობს, საერთო სიმპატიით ყველა მეგობარს პროგრესისა სამართლისა და თავისუფლებისა ევროპაში.

„ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ მომაკვდინებელ სიცივეს, რომელიც გავრცელებულა ჩვენ საზოგადოებათა ზედაპირზე, ჯერ კიდევ არ გაუტანებია სიღრმეში, არც გაუყინავს ხალხური სული და წყარო ცხოვრებისა არ არის დაშრეტილი... ჩვენი ყურები არ იყვნენ შეჩვეულნი ასეთ სიტყვებს, ამათმა ჟრუანტელი მოგვგვარა თვით გულის სიღრმემდი [1]).

ამავე წელს ბ. კორბონი სწერდა, რომ „საყურადღებო პროგრესი მოხვდა ოციოდე წლის განმავლობაში ჩვენი აგიტაციის შემდეგ სოციალური რეფორმებისათვის.

ამ დროში.... საერთო მისწრაფება სოციალისტ მუშების იყო შეხედულება, რომლითაც სახელმწიფო იყო მიჩნეული, როგორც მათი ხილული განგება და რომლისგანაც მოელოდა დაბალ კლასსების გამოსყიდვას. და აი ახალი თაობა აცხადებს, რომ „მუშების განთავისუფლება უნდა იყოს საქმე თვით მუშებისა!!!“

თუ ლიბერალების და რადიკალების მხრით ინტერნაციონალში ასეთი სიმპატია იქმნა მიღებული, მაშინ ადვილი მისახვდომია ის ენტუზიაზმი, რომელიც მან გამოიწვია ყველა ქვეყნის ყველა კილოის სოციალისტებში. ჩვენ დროში სამხედრო და კლერიკალურ რეაქციის დროს, თუ მეტი არა, ახირებულად მაინც ეჩვენებათ იმ დროის ლაპარაკის კილო. აი, მაგალითად, რა სიტყვებით მიმართა ბალის რესპუბლიკის პროკურორმა ადგილობრივ სექციის წევრებმა, როდესაც მიესალმა ბალის მეოთხე კონგრესს:

„... მეგესალმებით თქვენ, რომლებიც ამზადებთ განთავისუფლების დიად დღეს...

უკვე პირველი ნაბიჯი წადგმულია, კეთილ შობილთა ტირანია, სასულიერო წოდების ტირანია შელეწილია... საჭიროა ეხლა, რომ ბურჟუაზიული პრივილეგიები მოსპობილ იქმნენ ისე, როგორც სხვები, საჭიროა, რომ ყველა მუშაობდეს. თავისუფალი საზოგადოება, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ შეიძლებს კოოპერატიულად მოაწყოს შრომის ექსპლოატაცია; ეს საზოგადოება იქმნება შემდგარი მხოლოდ მუშათაგან, შესძლებს თავის თავს ეპატრონოს, თავის თავი თვით მართოს... ძმებო მუშებო... ნუ თუ ვოცნებობ? მაშინ თქვენც ჩემთან ერთად ოცნებობთ. იქნება ჰკუაზე შეცდარი ვიყო ასეთი ლაპარაკისთვის. ბ საგიჟეში დასამწყვდევი? არა. ის რაც მე მიმტკიცებს იმას, რომ მე არ ვოცნებობ, არის თვით ინტერნაციონალის არსებობა...

„ყოველგან, სადაც მუშების შესახებ შეცდომა ჩაიდინეს, ჩაიდინეს შეცდომა ჩვენი ასსოციაციის შესახებაც.

სადაც უნდა იყოს, გინდ ბორინაჟში, ლუარის ხეობაში, მუშების დაჩაგვრა ჩვენი დაჩაგვრა იქმნება... აგრეთვე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მოძრაობა, რომელიც აღელვებს მუშებს არის აგრეთვე ჩვენი მოძრაობა, და ყოველგან სადაც ჩაგრულნი შემოიკრიბებიან, ჩვენი გონებაც მათ შორის იქმნება“...[1]) ჩვენ შეგვიძლია ვიმოწმოთ ისეთი კაცები, რომლებიც იცავენ ჩაგვრას და მონობას, რომელთა სიტყვით დიდი სიხარული გამოიწვია ძირითად პრინციპების მიღებამ. დიდი ასსოციაციის დაუძინებელმა მტერმა, ოს-

[1]) ფრიბურგის მოყვანილი.

[1]) ბალის 1 კონგრესის ანგარიში. ბრიუსელი 1871.

მშრომელ ხალხის თვით შეგნების განვითარებას და მის ხელმძღვანელობას პოლიტიკურ ᲓᲐ ეკონომიურ მის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამ ბრძოლას ს.-რევოლიუციონერები აწარმოებენ ყველა პირობებში. მაგრამ, მაშინ როდესაც მთელ ევროპაში ეს ბრძოლა დაკანონებული არის კარგახანია, ცნობილია საზოგადოებრივი ცხოვრების მიუცილებელ ელემენტზედ და ამის გამო ბრძოლა და კულტურული (?) საშვალებებით სწარმოებს — რუსეთის რეჟიმის პირობები, საუბედუროდ, წარმოადგენს სხვა მოთხოვნილებებს ბრძოლისას. მთავრობისაგან არის დამოკიდებული გამოსავალის პირობები და მით მოსპოს არასასურველი და არა ბუნებრივი ხერხი ბრძოლისა...

ამხანაგო რედაქტორო!

იმედია თქვენი გაზეთის სტრიქონებით მომცემ საშუალებას ულრმესი მადლობა შევსწირო ყველა იმ პირთ, რომელთაც შემოიტანეს თავისი წვლილი, შორს ჩრდილოეთში გაგზავნილ თანამოძმეთა მწარე ხვედრის შესამსუბუქებლად.

მათ სასარგებლოდ შეგროვილი 27 მან. 25 კ. უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

მუშა ილიკო ლომინაძე.

—

პატონო რედაქტორო!

ამ ორი თვის წინათ „ცნობის ფურცელში“ იყო მოთავსებული ბაღდადიდან შემდეგი ცნობა: რამდენიმე შეიარაღებული კაცი ანანოვის სასახლეს თავს დაესხა გასაძარცვავათ, რა დროსაც ერ ყაჩაღთაგანი იქვე იქმნა მოკლული... ეს სიცრუეა. აი საქმე რაში იყო: შარშან ბაღდადის საზოგადოების გლეხობამ მემამულეების ანანოვისა და მილმანის ტყე გაჩეხეს და, როცა რეაქციამ ჩვენში თავი წამოჰყო, ამ ვაჟბატონებმა გლეხებს გაჩეხილ ტყის საფასური მოსთხოვეს. გლეხებმა კრება გამართეს და რამდენიმე კაცი მემამულეებთან გაგზავნეს მოსალაპარაკებლათ. სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წითელ რაზმის ერთმა საუკეთესო წევრთაგანმა ბუბუტეიშვილმა მოჰკლა მემამულე მილმანი, ანანოვი კი სასახლეში შევარდა, და იქიდან სასიკვდილოთ დასჭრა ბუბუტეიშვილი. ეს ხალხისაგან არჩეული პირები მემამულეებთან ყაჩაღურის მიზნით არ ყოფილან წასულნი და ამიტომ ხსენებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

სიმართლის მსახური.

რედაქტორ-გამომცემელი

ვ. ი. შალიკაშვილი.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბურგის დეპეშების სააგენტო).

—

**ეკატერინოსლავ**, 11 მაისი. ს. ამურში ეკატერინოსლავის მახლობლად დილის ორ საათზე ცინკის ზავოდის ეზოში გადაისროლეს ყუმბარა, მსხვერპლი არ არის. ორმოც საჟენზე დაშორებით ამ ადგილიდან იმყოფება ყაზახთა ყაზარმები.

**კოსტრომა**, 11 მაისი. გამოუშვეს საპყრობილედან ერთი პოლიტიკური დამნაშავე. ხვალ გზავნიან სიბირში ოთხ პოლიტიკურს.

**პრეტორია**. 11 მაისი. ნატალში საქმის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, ანგლიის ჯარმა ბრძანება მიიღო, რომ მზად იყვნენ.

**რიგა**. 12 მაისი. შუადღის 12 სათზე შუაგულ ქალაქში ხუთი შეიარაღებული კაცი დაეცა კანტორა ვერნერაში მოსამსახურეთ კასსისა და კანტორჩიკს, რომელთაც თავისთან ჰქონდათ 10,000 მანეთი. კანტორსჩიკს იარაღი აჰყარეს, კასსირი მძიმედ დასჭრეს, მაგრამ ფულის წაღება ვერ მოასწრეს და მიიმალნენ.

**პეტერბურგი**. დღეს გარჩეულ იქმნება კადეტებისგან შეტანილი კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხებლობის. გაზეთების ცნობებით ვიტტე მიემგზავრება საზღვარ-გარეთ 3—4 თვით.

**ვაშინგტონი**. მაცხოვრებელი კლეველენდში სოლომონ სტესსელი ბიძაშვილი გენერალ სტესსელისა, რომელმაც მიჰმართა რუზველტს თხოვნით, რომ შუამავლობა გაუწიოს ხელმწიფესთან გენერლის შესახებ.

**ორიოლი**. ორლოვის მაზრაში აგრარული მოძრაობაა. გაგზავნილია ყაზახები.

**კოვნო**. ბოროტგამზრახველნი, როდესაც მივიდნენ ვოლფის შაქრის სკლადში და მოსთხოვეს ფული, უარის თქმაზე მოჰკლეს ნოქარი. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ.

**ტულა**. უცნობმა გიმნაზიელის ტანისამოსში მძიმედ დასჭრა რევოლვერით გიმნაზიის დირექტორი რადეცკი.

**პავლოგრადი**. მეწისქვილე ვენგეროვსკის სახლიდგან უცნობ შეიარაღებულთაგან გატაცებულია 8000 მანეთი.

**პოლტავა**. ფრანგული ენის მასწავლებელმა მორგაზმა ფსიხიურათ მოშლილობის გამო თავის მეეზოვეს ყელი გამოსჭრა.

**რიგა**. ექვსი შეიარაღებული კაცი დასცემია მეარტელე კანტორის კნიპ ვერნოს, რომელსაც მიჰქონდა ფული. მეარტელე დაჭრილი აღმოჩნდა, ფული ვერ გაუტაციათ თავსდასხმელნი მიიმალენ.

**ოდესა**. გაიფიცნენ მემანქანეები, ფეჩის ზედამხედველები, მეზღვაურები და მუშები ყველა გემებისა. გემები შეჩერებულები არიან. წარდგენილია ეკონომიური მოთხოვნილებები და აგრეთვე ამნისტიის შესახებაც.

**ვარშავა**. მრეწველობის ბანკის კასაში შევიდენ მძარცველები ფულის გასატანათ. კასაში მყოფთ წინაალმდეგობა გაუწიეს, მძარცველებმა სროლა ასტეხეს, დასჭრეს ხუთი და მიიმალენ.

**მოსკოვი**. ღვთის-მშობლის ტყეში მიტინგის დროს მუშებმა მოჰკლეს დამცველ განყოფილების აგენტი, მეორე აგენტი კი დაჭრილია ოთხის ტყვიით.

**ვარშავა**. სადალაქოები გაიფიცნენ. დაცემის დროს სამრეწველო ბანკზედ სასიკვდილოდ დაჭრილია დირექტორი სვენციცკი, მოკლულია ორი გარეშე პირი და მსახური იეევსკი. დაჭრილთა რიცხვში არის ერთი უცნობი. ამბობენ ეს კაცი დამცემთაგანიაო.

---

კარ ტესტიუმ [2]) ლიონის საიმპერატორო სასამართლონ ადვოკატმა, აღნიშნა, 10 მაისს 1870 წ., სწრაფი განვითარება... ისეთი, რომელმაც უნდა შეაშინოსო ყველა ის კაცი, რომელიც ფიქრობს იმ დიდ ხიფათზე, რომელიც ასეთ მძლავრ ორგანიზაციას შეუძლია შეამთხვიოს წეს-წყობილებას (ბურჟუაზულს).

ის აღნიშნავდა აგრეთვე ერთობას, რომელიც აცხოველებდა მის წევრებს... როგორი უზარმაზარი სისწრაფით განადიდა თანდათან ასსოციაციამ თავისი მოქმედების ასპარეზი, არა თუ საფრანგეთში, არამედ აგრეთვე გერმანიის ნაწილში, ამერიკაში, იტალიაში, ბელგიაში, პოლშაში რუსეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, დანიაში, ინგლისში და თითქმის ისპანიაშიც.

დიახ დიდი იყო გავლენა ასსოციაციის პრინციპების დეკლარაციისა; მწრაფლ იყო გავრცელებაც და მომხრეებს მილიონობით ითვლიდენ. [3])

რას მივაწეროთ ეს ნაყოფი?

ერთი მხრით დროის ხალხური მისწრაფება; მეორე მხრით, და განსაკუთრებით ის სისწორე, რომლითაც დეკლარაცია გამოხატვიდა საერთო აზრებს სამი სოციალისტური სისტემისას (სენ-სიმონი, ფურიე და რ. ოვენი), აგრეთვე ბრძოლის ტაკტიკა, რომელიც იხმარებოდა ფრანგ და ინგლისელ, უფრო მოწინავე და სოლიდარულ მუშებისაგან.

ჩვეულებრივად ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ იმ პოლიტიკურ და სოციალისტურ შემთხვევებს, რომლებშიაც ინტერნაციონა დაიბადა. მაგრამ 1859—65 წლების ეპოქა არის მაინც ერთი შესამჩნეთაგანი თანამედროვე ისტორიაში. რეაქცია, რომელმაც გაჰკლიტა ევროპა 1848 წლის რევოლიუციის შემდეგ, იძულებული იყო დაეთმო ხალხის მოთხოვნებისთვის, აღმოჩენებისათვის და ინდუქტივურ მეცნიერების განზოგადოებათათვის რომლებმაც ყირამალა გადააბრუნეს ყველა ჩვენი რწმენა და ზესთაბუნებრივი და მეტაფიზიკური წინგანზრახულებანი. იტალია, ეს აღორძინების და აყვავებული რესპუბლიკების აკვანი, იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის და ამ გმირულმა ბრძოლამ, რომელსაც ერთმა ინგლისელმა უწოდა „Veripoetry of politics“ (ნამდვილი პოეზია პოლიტიკისა), იყო სულდგმულებული და ხელმძღვანელებული ისეთი წმინდა ხასიათის კაცებისაგან, როგორც გარიბალდი, მაძინი, პიზაკანი და სხვები, რომ აღტაცებული ახალგაზდობა თავს იყრიდა გარიბალდის ბაირაღის ქვეშ ყველა, განათლებულ ქვეყნებიდგან. რუსეთში დესპოტიზმი იძულებული გახდა ბატონყმობა მოესპო, და ლიბერალური რეფორმები შემოეღო. ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ არ იყო დაჭერილი, ჰერცენი თავის რევოლიუციონური პუბლიცისტობის უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, პოლონელი პატრიოტები ემზადებოდენ დემოკრატიული რესპუბლიკისთვის რევოლიუციის მოსაწყობად და ამ რევოლიუციამ მრავალი იტალიელი მიიზიდა.

კახელი.

---

[2]) სახალხთაშ. ასსოციაცია, ლიონი, 1870; ცისფერი წიგნი ინტერნაც. პარიზი, 1871; ინტერნაციონ. და იაკობინიზმი, პარიზი, 1871.

[3]) ბალის კონგრესზე ამერიკ. დელეგ., კამერონი წარმოადგენდა 800,000 წევრს „ნაციონალურ მუშათა კავშირს“.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.